

ენიანბრი

ნახ. გ. ლომიძისა



10/1
9
5
6

პირველი სადღეგრძელო

Обязательный экземпляр


ყოველ ახალ წელიწადს, ასე იყო ძველად, პირელი ხუფრის შუაში იდგა სველი ხელადა.

ღვინის პაპა იტყობდა: „მტერს ხულ ახე ვგმირავდეთ“ — დაპკოცნიდა ხელადას გამოცლილსა ძირამდე.

ყოველ ახალ წელიწადს, როცა დავიკოცნებით, გორში, სტალინის სახლში, გადავდივარ ოცნებით.

იქ ხელადა მეგულვის... მსურს იმ ხავსე ხელადით პირველად ვადღეგრძელო ჩვენი მხსნელი ბელადი.

ი. გრიშაშვილი



რა განსხვავება იქნებოდა სუსხიან პირველ იანვარსა და თავლაუ-დასხმულ პირველ მარტს შორის, რომ არ არსებობდეს საახალწლო ნაძვისხე!

ავტორი ბავშვების სიხარულზე ლაპარაკობს, თორემ პირადად ჩვენ, მათ ბიძებს, კარგად შებრაწული საახალწლო გოჭი ბევრად გვირჩევნია ბერტოლეს მარილმოყრილ ნაძვისხეს.

და აი, მოახლოვდა თუ არა ახალი წელი, (მრავალს დაესწარით ძვირფასო მკითხველო!) მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი შევუდები ნაძვისხის მოწყობისათვის სამზადისს. ჩემმა მეუღლემ თინათინმა ათი დღით ადრე შემომიტანა ცხელი გაზეთი, სადაც ნაძვისხის მოწყობისათვის სავალდებულო ინსტრუქცია იყო დაბეჭდილი.

„ნაძვისხის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ტოტები არ ეხებოდეს სათავსოს კერსა და კედლებს“.

გავზომეთ ოთახის სიმაღლე და სიგრძე-სიგანე, შემდეგ მეტრით ხელში წავედით ნაძვისხის სასყიდლად. ამოვარჩიეთ და მოვიტანეთ.

— დადგი, ახლა რას უცდი!—მეუბნება ჩემი პატარა გვივიკო.

— ეხლავე.— ვუპასუხე და ჩავხედე ინსტრუქციას.

„ნაძვისხე არ უნდა იქნეს მოწყობილი გასასვლელებისა და გამოსასვლელების ახლო“. ამ მუხლმა დიდი დავა გამოიწვია. სულ ორი ოთახი გვაქვს და ორთავე საფსოვს გასასვლელ-გამოსასვლელით.

— დავდგათ სასადილო ოთახის მარცხენა კუთხეში!— შემოიტანა წინადადება ჩემმა მეუღლემ.

— მშვენიერია!— დავუდასტურეთ და კვლავ ინსტრუქციას ჩავხედეთ.

„ნაძვისხე დაცილებული უნდა იქნას კედლებიდან სულ მცირე ერთი მეტრით“.

— ეს ადვილია,— თქვა კვლავ თინათინმა,— გამოვწიოთ ნაძვისხე ოთახის სიღრმისაკენ ერთი მეტრით.

გამოვწიეთ, მაგრამ ვაი უბედურებას— ნაძვისხესა და კედელს შორის გაჩნდა გასასვლელიც და გამოსასვლელიც, რაც კარდინალურად ეწინააღმდეგება ინსტრუქციას.

— წაიკითხე ქვევით, იქნებ რაიმე შეღავათი იყოს!— თქვა ცოლმა.

„ნაძვისხე უნდა დაიდგას მყარ ჯვარისებრ სადგარზე, სველ მიწიან, ან სილიან კასრში, ან ყუთში“.

ეს ადვილი აღმოჩნდა. ვიშოვეთ კასრი და ამოვზიდეთ მე-3 სართულში ხუთ ფუთამდე სველი მიწა. ჯვარისებრი სადგარიც ადვილად გავაკეთეთ და ამან ცოტა გვანუგეშა.

ცოლმა მაგიდაზე გადმოალაგა ნაძვისხის გასაფორმებელი სათამაშოები.

— დავკიდოთ, დავკიდოთ!— ყვირიან ბავშვები.

— მოიცადეთ თქვე ცელქებო, ყველაფერი ინსტრუქციის შესაბამისად უნდა დაიკიდოს.

— აბა ჩახედე!

ჩავხედეთ და ელდა გვეცა. ინსტრუქცია მკაცრად ბრძანებდა: „ნაძვისხის გაფორმებისას აკრძალულია ცელქლოდისა და სხვა ადვილად აალებადი სათამაშოებისა და მოკაზმულობის ჩამოკიდება, სერპანტინისა და კონფეტის ხმარება“...

— ბიჟოს, აბა ცეცხლგამძლე აგურებს ხომ არ დავკიდებთ ნაძვისხეზე კონფეტების ნაცვლად!— საყვედურით თქვა 12 წლის მზიამ. თინათინმა მაგიდაზე ქალაქში შეხვეული რაღაც დასდო.

— ეს ბამბა.— თქვა მან.— ნაძვისხეს უნდა მოვაფინოთ.

— ვითომ თოვლია, დედიკო, არა?— წარმოსთქვა ალტაცებით პატარა გვივიკო,— რა კარგია!

— კარგი კია, მაგრამ... წამოვიღოთ ლუღე და ინსტრუქციას ჩავაცქერდი.

„აკრძალულია ნაძვისხეზე ცეცხლგამძლე ხსნარით გაუქვინთავი ბამბის დაფენა“. (ვაიმე! სად ვიშოვოთ ხსნარი?)

— რად დალონდი,— მაიმედებს თინათინი,— ბოლოს და ბოლოს

სულ არ გვინდა ბამბა. სამაგიეროდ ნაძვისხეზე დავკიდებთ თოვლის ბამბას.— და ამ სიტყვებზე მან მაგიდაზე დასდგა ახლანაყიდი თოვლივით თეთრი და ბრწყინვალე ბამბა.

— იფ, იფ, იფ!— კვლავ აქლურტულდა გვივიკო.

— აბა, დაკიდე ახლა ეს ბამბა თანახმად ინსტრუქციისა! შიშით ჩავხედეთ ინსტრუქციას და ერთხელ კიდევ გვეცა ელდა: „აკრძალულია ნაძვისხეზე ბამბის ნაკეთობათა დაკიდება“.

პატარა გვივიკო ინტუიტიურად ხელით გასინჯა თოვლის ბამბა და „უუუ“-ო შემოგვტერია. (თოვლის ბამბაც ხომ ბამბის ნაკეთობაა!).

— არა უშავს, არა უშავს, თოვლის ბამბას დავასველებთ წყალში და ისე დავკიდებთ.— ამბობს ისევ თინათინი.— ახლა ჩახედე ინსტრუქციას, როგორ უნდა მოვაწყოთ ნაძვისხის ილუმინაცია.

მზიამ კარადიდან გამოიღო და მაგიდაზე დაალაგა წითელ-ყვითელი ელნათურები, რომლებიც გადამბული არიან ელექტრომავთულით.

— აბა, მოიტა ინსტრუქცია!— რისკიანად ვთქვი და მამაცურად ჩავხედე... ჩავხედე და ერთხელ კიდევ დამატებით ელდა გვეცა. ილუმინაციის მოწყობის წესი შეიცავდა ისეთ თავბრუსმომხვევ ტექნიკურ სირთულეს, რომ ქალაქის მთავარი ინჟინერიც დაფრთხებოდა.

„ილუმინაცია მტკიცედ, საიმედოდ და ყველა ელექტროტექნიკური ნორმისა და წესების დაცვით უნდა იყოს მოწყობილი. ილუმინაცია, როგორც წესი, მოწყობილ უნდა იქნას ძაბვის დამწვევი ტრანსფორმატორის საშუალებით 12-ვოლტიანი ძალოვნობის ნათურებით“ და სხვ. და სხვ.

— გამოდის, რომ ილუმინაციაც აღარ გვექნება!— ამბობს მზია.

— უუუ!— სტირის გვივიკო.

— გაჩუმდი, ბიჟო, ინსტრუქციას ხომ არ დავარღვევთ! საბოლოოდ დავადგინეთ შემდეგი:

1) ნაძვისხე დაიდგება თანახმად ინსტრუქციაში გათვალისწინებული ყველა ნორმისა; 2) მასზე არ ჩამოიკიდება არც ერთი სათამაშო და არც კონფეტი; 3) თოვლის ბამბა დაიკიდება მხოლოდ წყალში დასველების შემდეგ; 4) ილუმინაცია მოიხსნას როგორც ასეთი; 5) ნაძვისხის გარშემო გაკეთდეს ეკლიანი მავთული, რათა ბავშვები ახლოს არ მივიდნენ მასთან სიამოვნების მიღების თვალსაზრისით (მით უმეტეს, რომ საამისო იქ მაინც არაფერი იქნება).

— ხომ არაფერი გამოგვრჩია ინსტრუქციიდან?— გავიფიქრეთ და ჩავხედეთ.

„აკრძალულია ნაძვისხესთან ნორმაზე მეტი ბავშვების დაშვება“.

(ვაიმე! რამდენია ნორმა?)

შემდეგ:

„აკრძალულია ნაძვისხესთან ბავშვების დაშვება, რომლებსაც აცვიათ ბამბის, ქალაქის, მარლის და სხვა ადვილად აალებადი მატერიის ტანსაცმელი“.

(ვაიმე! იქნებ საჭიროა ბავშვების გაქვინთვაც ცეცხლგამძლე ხსნარით!..). აი, აქ კი გამოვედი მოთმინებიდან.

წავატანე ხელი მრავალტანჯულ ნაძვისხეს და გამოუყენებელ სათამაშოებთან ერთად შევუძახე თუნუქის ლუმელში.

შეციებული ბავშვები ლუმელს მისცვივდნენ, ეგონათ ხელს მაინც მოითბობდნენ თოვლის ბამბისა და ნაძვისხის ალზე, მაგრამ...

არც აქ გავვიმართლდა. ლუმელში ნელ-ნელა დაიფუკა თოვლის ბამბა, ხოლო ნაძვისხესა და სხვა სათამაშოებს ცეცხლი სულ არ მოეკიდა.

რა ტყუილად გვიწვალდება ამდენი!

მთელი სახლიც რომ დამწვარიყო, თურმე ჩვენს ნაძვისხეს და მასზე დაკიდებულ სათამაშოებს ცეცხლი ახლოსაც არ მიეკარებოდა.

ნახ. გ. ლომიძისა



ეროვნული
გინგლოთქა

— აქ სად მოვხვდი? დასაჯდომი ადგილიც ვერ მიპოვნია, რომ მოვალეობის ასრულებას შევუდგე!

— ხედავ ჩემო მემკვიდრე, როგორ გამარუჯეს იმ ომის გამჩალებლებმა? არც შენ მოვისვენებენ და უფრთხილი ცეცხლი არ გაგიჩინონ.

ჰკა მაგათ!

(მრთხანახარობიანი ფანტასტიკური საახალწლო სცენა ფულტონში)

(სცენა წარმოადგენს ქ. ფულტონის ერთ-ერთი სასტუმროს დარბაზს, სადაც ჩვეულებრივ თავს იყრიან ამ შტატის გამოჩენილი ჰანგსტერები, მძარცველთა და მკვლელთა ბანდების ხელმძღვანელები და ხიზნესმენები. მრგვალ მაგიდას უხსედან ჩერჩილი, დალესი, დიუი, მარშალი, დე-გოლი, ჰერსტი და შავი ბირჟის საქმოსნები. ხიზარის ბოლში გახვეულ მაგიდაზე ჩამწკრივებულია ვისკით სავსე ჭიქები).

ჰერსტი: (ხარს რეკავს) გთხოვთ ყურადღებას. პატრიცეუმლო მისტერებო! მადლობას გიძღვნი, რომ პატრიცი დამდეთ და ასეთი საქმიანი კრების თავმჯდომარეობა მომანდეთ. დღეს ფულტონში შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ ჩვენთვის ტრადიციულ ქვეყნული მისტერ ჩერჩილის მიერ ახალი ომის წამოწყების პროგრამის განხორციელების დარგში მიღწეული წარმატებები შევაჯამოთ. როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის მშვიდობიანობის საფრთხე ემუქრება საბჭოთა კავშირის წყალობით. საბჭოთა დიპლომატიები ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუშალონ ახალი ომის გაჩაღებას და თავს მოგვანვიონ მშვიდობიანობა...

(დარბაზში ხმაურობა ატყდება. ისმის წამოძახილები: „ძირს მშვიდობიანობა“, „გაუმარჯოს ატომს“, „გაუმარჯოს მარშალის გეგმას“, მარშალი კმაყოფილებით იღივება. ჩერჩილი ვისკს შოსვამს. ჰერსტი კვლავ ხარს რეკავს და განაგრძობს).

— გთხოვთ დაწყნარდეთ! თქვენი თავდადებული ღვაწლი ახალი ომის გაჩაღებისათვის ბრძოლაში—კარგად მოგეხსენება ჩვენს პრეზიდენტს.

მარშალი: (გაბრაზებით) ის მაინც უმადურია, როგორც გავიგე, მგონია შეცვლას მიპირებს,—დაღვრით ემუშავებ და მაინც...

დიუი: უმადური კი არა, უარესია! არჩვენებში მაჯობა—თითქოს ჩემზე ერთგული იყოს ომის წამოწყებისა!

ჰერსტი: (კვლავ ხარს რეკავს) ნუ ღელავთ მისტერებო! უოლ-სტრიტზე ჯეროვანად არის შეფასებული თქვენი ღვაწლი, არც თქვენს ერთგულებას, მისტერ მარშალ, და არც თქვენს თავდადებას მისტერ დიუი, არ იფიქრებენ ბიზნესმენები და ახალი ომისათვის გარჯას გიფასებენ. მაგრამ თქვენგან დასახელებული ამტანობა და ერთგულება ათმაგად ახასიათებს ჩვენს საპატიო სტუმარს—უინსტონ ჩერჩილს. (ხმები: „ახასიათებს, ახასიათებს!“ აღფრთოვანებული კორესპონდენტები რამდენიმეჯერ გადაიღებენ ჩერჩილის სურათს. ჰერსტი განაგრძობს) ამიტომ, მისტერებო, სიტყვას ვაძლევ მისტერ ჩერჩილს! (ტაში. ყველა ვისკის მოსვამს და სიგარას გააბოლავებს).

ჩერჩილი: პატრიცეუმლო მისტერებო! როგორც ხედავთ, ახალი წელი საცაა თავს წამოგვადგება. რა ბა-

ლანსით ვხვდებით მას? აი თავსატეხი საკითხი ეს გახლავთ! მოგეხსენებათ, რომ ახალი ომისათვის ნიადაგის მომზადება ჩვენ კიდევ ვერ შევძელით და შეიძლება ახალ წელს შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მშვიდობიანობისათვის ვიღწვოდით.

მარშალი: ჩვენ მაგის უფლებას არ მივცემთ ახალ წელს.

ჩერჩილი: რას უხამთ, მისტერ მარშალ, ახალი წელი ხომ ყრმაა, რასაც დაინახავს—იმას დაიჯერებს.

მარშალი: რას დაინახავს? შავ დღეს დავაყენებთ, თუ ვერ დაინახავს, რომ ჩვენ გულხელდაკრფილი არ ვისხედით, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკას—წინ ვუყენებდით ახალი ომის სამზადისს! ვაიარალებდით რეაქციულ სახელმწიფოებს, ვქმნიდით სამხედრო ბანებს, ვამზადებდით ატომის ბომბებს, ვხლართავდით ინტრიგის ქსელებს. თქვენ ხომ ამ საქმის ოსტატი ხართ, „ინტელიჯენს სერვისის“ მეთაური ბრძანდებით, განა არ იცით, თუ რა ღვაწლი მიუძღვით თქვენი ლიბერალისტული მთავრობის მეთაურებს—მისტერ ველისს, ბევისსა და სხვებს ახალი ომის მოსამზადებელ პროვოკაციების გაჩაღებაში?

ჩერჩილი: ვიცი, მაგრამ ვცოტაა!

დე-გოლი: რაც შეგიძლიან ვაკეთებთ, მისტერ ჩერჩილი! ადვილი საქმე ხომ არ არის ადგე და ომი გააჩალო, როცა ხალხს მშვიდობიანობა სწყურიათ და ამაში დანაშაულებრივად ეხმარება მას საბჭოთა კავშირი?

დე-გოლი: ჩემის აზრით, გენერალი დე-გოლი ჩემად უნდა იყოს, მას იმდენი დოლარები ჩააცეცხლეს, რომ აქამდე საფრანგეთი მაინც ფაშისმის ბუდედ უნდა გადაექცია.

ჰერსტი: გთხოვთ ნერვებს ნუ აიშლით მისტერებო, დე-გოლიმა ზოგი რამ გააკეთა: განა უიულ მოკი მაგისი კარნახით არ ხვრეტს გაფიქრულ მალაროელებს? განა კომუნისტების დევნა—ფაშისმის საუკეთესო გამოხატულებას არ ნიშნავს?

ჩერჩილი: ნიშნავს, მაგრამ მაინც ცოტაა! აი, ჩვენში, ინგლისში, მოსლის ფაშისტური პარტია ავადორძინეთ, პიტლერული ფაშისტები—ვინც კი გადავარჩინეთ, ინსტრუქტორებად მოვიწვიეთ.

მარშალი: მისტერ ჩერჩილს ალბათ ავიწყდება, რომ გერმანელი ფაშისტები ჩვენც აღვადგინეთ ნამდვილ უფლებებში და მოღვაწეობის ფართო ასპარეზი

შეუქმენით და არა მარტო ინგლისში, თვით გერმანიის ჩვენს საოკუპაციო ზონაშიც!

ჩერჩილი: ეგ, უპირველეს ყოვლისა, ჩემი, ე. ი. ინგლისის მთავრობის დამსახურებაა: მისტერ ბევისმა და მისტერ-ვეტიმ თქვენზე ადრე მოიმოქმედეს ასე.

დე-გოლი: საფრანგეთის საოკუპაციო ზონაშიც ხომ ასეა...

დალესი: (გაცხარებული სიტყვას აწყვეტინებს) მე კიდევ მოვიტხოვ მისტერებო, რომ მუსიე დე-გოლი ჩემად იყოს. ეგ სხვის დამსახურებას ისაკუთრებს, თუ კაი ყმაწვილი იყო, აქამდე საფრანგეთის ფაშისტური მთავრობის მეთაურად უნდა წამოსკუბებულიყო. ტყუილად აცეცხლეს იმდენი დოლარები?

ჰერსტი: გთხოვთ საკითხს ნუ გაართულებთ! მუსიე დე-გოლი პატარა კაცუნაა, მეტის გაკეთება სჩანს, არ შეეძლო! საერთოდ კი, როგორც აქ ვხედავთ, არც ისე მცირე ყოფილა ჩვენი და თქვენი ღვაწლი ახალი ომისათვის ნიადაგის მომზადებაში. მაშასადამე, საახალწლო ბალანსი გვაქვს. მაშასადამე, გვაქვს ზოგი რამ, რითაც შეგიძლიან შეგხედეთ ახალ წელს და ისე მოვანთლოთ, რომ.. (ამ დროს დარბაზში შემოსასვლელ კარებს იქიდან ხმაური ატყდება, თანდათან ძლიერდება და ისმის სიტყვები: „შეგვიშვით!“ „ვერ შეგვიშვებთ, აკრძალულია აქ უცხო პირების შემოსვლა. აქ საქმის ხალხია!“ კარები შემოიმტვრევა და დარბაზში შემოიჭრებიან მოხუცი ძველი წელი და ყრმა ახალი წელი, კარებს იქით მოჩანს უმუშევართა დემონსტრაცია. ძველი წელი შემოუძღვება ახალს, მიუთითებს მაგიდის ირგვლივ შემომწკრივებულ პირებზე და ეუბნება:)

ძე. წელი: აი, ეს არის არამზადების ბუნაგი! ეს ის ხროვაა, რომელიც წინ მელიობებოდა და მიშლიდა მშვიდობიანობის შენებას! აქედან უნდა დაიწყო! ჰკა მაგათ!

ახალი წელი: ჰკა მაგათ!

(დარბაზში შემოიჭრებიან დემონსტრანტები. ჩერჩილი, მარშალი, დიუი და დანარჩენები ტაბტის ქვეშ ძვრებიან. ისმის ავეჯის მტვრევის ხმა და ჩოჩოლი. ფარდა ეშვება).

ფარსადანი

გორის საკონსტრუქციო ქარხანაში
 ნოუთონიანი გეგმა 1948 წელს
 შეასრულა.



ბორის საკონსტრუქციო ქარხანა (1951 წელს): შერე აგრე ტპე-
 ლად და შადე დამბერდი, რეაგრეც ეს წლები დავაბერე.

ხალხური ცვდების ანამბეზი ო სოხე-
 შეილისა და ნ. რაინიშვილის ხელმძღ-
 ველობით ცვევა-თანის 1948 წლის ცხე-
 ნი დიდი ვაუაბარებელი შეასრულა—
 მის წყვეტზე შეზიარა საბჭოთა კავში-
 რი და თითქმის მთელი ევროპა.




ეს მიზე კარად იამაზიის,
 დეის წყვეტზე დევათ...

ფეხსაცმელების მცირე ფაბრიკა 1948 წლის გეგმის
 შესრულებაში ჩაბარა.



მომად უბარაბა (1948 წელს): ცოკა კადეე დამბეზადე, ფეხ-
 მამაცე და იხე წადი, თორე ახალ წელს ახე სამარცხენოდ წამ
 არ შეგეუდებე!

ნახ. გ. თამაშვილისა



მასწავლებელი: მიხედეთ ხალ არის ცენტრი?
 მოუაბო: ცენტრი, მასწავლებელი, პაიქისის ღრის ყველგან
 იყო: თავდახხმაშიც, დაცევაშიც, მარჯვენაც, მარცხენაც; მის შემ-
 დგე კი—ერთ ადგაღლაზე გაუერთელი!

შეხვერა

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა. საბჭოსა
 და ფაროსმანის ქუჩების შემაერთებელ რკი-
 ნივთის ქვეშ გასასვლელ გვირაბს მიუვაბლო-
 დი, ჩემსეც ვიდაც გამოიბოდა.
 ვიშოვე თანამგზავართო—გაფიფქვერე და
 მოვაგვი დაგვაბლოვინი.
 შუა გვირაბს ერთად მივაღწევი, ვიდაც
 დავეკევაბა.
 —ვიდა ხარ?—შესახა ჩემმა თანამგზავრმა.
 —მე... რისიბჭოს ადმისკომის პრეზიდენ-
 მის სხდომიდან მოვდივარ... ვოგოლის ქუჩა-
 ზე ვცხოვრობი!...—აიფიფიფად უტყობი.
 ასინთი ამოვიღე, ავიანთი. ერთმანეთს შეე-
 ხედეთ, დავაკვირდით, ვაუღლიეთ, ჩემი თანა-
 მგზავრი გაიკებულეთ დარჩა:
 —კაცო, სპირიდონი ხარ? შე მამაცხიბინ-
 ბული, რისიბჭოს თაქსეფორმარის მოადგილე
 კაცი ბრანდელი, სულ ბე დალიხარ, ეს გვი-
 რაბი ვერ გაწმინდეთ და ვერ გაანათეთ?..
 —დედა, მოშკალი კაცი და გე არი,
 —გე გვირაბი ნახევიარი ხომ თვენი რაი-

ონის ზონაშია, შენ კომუნალური განყოფი-
 ლების უფროსი ხარ, საკითხი ერთხელ მინც
 ვერ დაიკენე?
 დაუწყეს დავა ერთმანეთს.
 ჩემთვის უტყობი მოქალაქენი სტალინისა
 და ლენინის რაიონული საბჭოს თავმჯდომე-
 არის მოადგილე და კომუნალური განყოფილე-
 ბის უფროსი აღმოჩნდნენ.
 დავა დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ასა-
 ნითი არ ჩამქარალყო. იქ ისედაც ვაჩერებე
 არ შეიძლებოდა, დამალი ნავეის სურნი იდგა.
 წამსევე გაეშორდი იჭურბობას.
 მივდივარ და ვფიქრობ. აი, დედა ახალი
 წელი. მინც რომელი რაიონის ხელმძღვანე-
 ლია პასუხისმგებელი იმ გასასვლელზე, რო-
 მიელც დედაქალაქის ორ დიდ რაიონს აერ-
 თიანდებე?
 პასუხს აღბთ საქალაქო საბჭოს აღმასკო-
 მი გავცემს, თორე ეს დავა შეიძლება 1949
 წელსაც გაგრძელდეს.

ა. გ. მოსიჩიძე

სხვაის სხვაი...

ახალი დივისი ცეკამიშვეს ამა. არიოდ ნატროპილის მეცნიერების
 ინსტიტუტის ძველი სტუდენტო ვიდედმანიად ხელს უშლიდა. ინსტიტუტის
 მეც. თანამშრომლებს ღწენ დღე მუშაობას.



თუ მატყავს...
 ა. გ. მოსიჩიძე

წიდაც არ დროს იცნებდა,
 დედას თხუცე და მოუშო...
 ამ წესს ტყნას, წესს ცოკა-კარ
 რა მხარე მოქცია
 ვერ იყო და, ილიდად
 ჩემს მუხს გაცნა
 შეაკლეს და იხედავდი
 იმ წვეთს მანქანებში
 შერე დამი, რა წამს ცოკ
 დედაც შევა ვიდა,
 ზღე წესს კინამ შევა ჩადაც
 სხვა მანქანა შემოიღო,
 აბუღუნდა, აბუღუნდა,
 ვით ვიჭაბო მიხილდით,
 შერე იმ შავს ტყნ მანქანებში
 „გაჭედი“ და „ვიდალიბი“
 გენიხი, ასო კვიბს ერთად,
 ზოგი ხანით, ზოგი ერთხელ...
 იაფს უნო ადარ მიხედე,
 ვაშეხედა ლეხს ტყნა,
 ადარ მშვედის უფრია ხაზმა,
 იაფს ცემა, კერავ ლეხი...
 რა გაუძღეს, ვიდაცა
 აიშინდა ზარს და ერთხელ
 პირველ დედას. რაც ვამჩნდა,
 ტყნე, თავზე წამოიჭრეს
 და არ ადგენ ზეგ, სანამ
 მათი წველი არ მხარეს
 ღებე არის, სინდეს მიხილეს,
 ვეცაა ღორწარ და ვეცაა „კულის“...
 ამა, მუხს, ჩქარა, ვიდაც
 ვიდაც ხეპირი მოვა დილის
 შეიამადა კალმის წერიტი,
 ვიდაც ვრწმობდა მოგება...
 ნაიდაც კიდეც—კალმისზე
 ვაშეხედაც მოქცია,
 მუხარ დაბე! რა წამს დედაც
 და შევადედი ლეხზე წიდას,
 ვერ აღუღეს: დაქრა ვიდაც.

პოეზიის მოთქმა

წერე მოქვა დაღა-წერნაც.
 ტყნე, ტყნე—ურცაშს ღლილი
 და ტყნის წიდას ცხელები...
 (ჩემს მუხსადად უფრე ქალი
 ვაბიოვებს წილებს).
 ქარწილი, კვიბს უფრე,
 იაფს მოქვირე წველ ბუქნის.
 თუ ქარწილი შევიდა ამა,—
 სხვა ქარწილი ღმერთს წე გნას
 ზოგი ტყნის, ზოგი ჩხუბის,
 ზოგი აბუღუნეს ვიდაც მთავრად...
 დედა თუ სხვათა,
 ვი ჩემს მუხს ხაიდას...
 და თვედ მტყვიო ეს ქალაქი
 ჩემი დედა-მიხილესა.
 სანამ წიდას არა სტყვის
 არ მოვიდა მილიდა!
 მხეხი ნადაც, ჩადა წერნაც,
 ვეცაა შევადედი ლეხზე წიდას...
 მუხარ, დაბე ეს რა ტყნით
 შეუწვიო ამ ხან ჩიდას!
 მხეხი არა ვეცა, მხეხე—არი,
 და ზღედაც წიდას მინც
 „ლოგი ჩემს“, „მუხარ-მუხარისა“,
 ვით ფრწველიც ვაღაიში
 „ვიდალიბი“ და ამ ვიდალიბი
 დედასთან დედას ვეცა.
 შევადედი სანი, არა მშვედის
 იაფს ცემა, კერავ ლეხი...
 რა გაუძღეს ვაშეხედაც
 აიშინდა ზარს და ერთხელ
 პირველ დედას. რაც ვამჩნდა,
 ტყნე, თავზე წამოიჭრეს
 და არ ადგენ ზეგ, სანამ
 მათი წველი არ მხარეს
 ღებე არის, სინდეს მიხილეს,
 ვეცაა ღორწარ და ვეცაა „კულის“...
 ამა, მუხს, ჩქარა, ვიდაც
 ვიდაც ხეპირი მოვა დილის
 შეიამადა კალმის წერიტი,
 ვიდაც ვრწმობდა მოგება...
 ნაიდაც კიდეც—კალმისზე
 ვაშეხედაც მოქცია,
 მუხარ დაბე! რა წამს დედაც
 და შევადედი ლეხზე წიდას,
 ვერ აღუღეს: დაქრა ვიდაც.

მოსიჩიძე



ქველი წელიწადი (ახალ წელიწადს): გადავიდეთ ქალაქებზე. ჩახწერე სრულიად ახალი ქალაქები რუსთავისა და მაღლაკის ველებზე.

მოხუცები

ნახ. ნ. მაღალაშვილისა



— რამ დაგაღონა, შენი პიესა რეპერტუარში არ მოხვდა?
— რეპერტუარში კი არა სცენაზეც მოხვდა, მაგრამ ისე სუსტი აღმოჩნდა, რომ დამღვმელსაც ბევრი მოხვდა და მეც.

უფრო ილია

ერთ საღამოს, საგურამოში, როდესაც მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, ილია კაკლის ხის ქვეშ იჯდა და თავის სტუმარს-საიდრისიანად ესაუბრებოდა. (მაშინ ილია ჯერ კიდევ ძველ, ორსართულიან სახლში ცხოვრობდა). სტუმარმა მოკრძალებით უთხრა:

— ილია, ყველა საქმის გაკეთება საფუძვლიანად, მკვიდრად გიყვართ და ეს სახლი კი ვერა გაქვთ მკვიდრად, სამვილიშვილოდ ჩამდგარი!

— მერე შვილები სადა მყავს, რომ შვილიშვილებზე ვიზრუნო. — უპასუხა ღიმილით პოეტმა.

ლოლიკის ქალა

ერთ საზოგადო კრებაზე ილია სიტყვას ამბობდა. კრების თავმჯდომარედ იყო არტიდერის გენერალი დიმ. მუსხელიშვილი, მომხრე ილიას მოწინააღმდეგეთა ბანაკისა.

ცხარე დაპირაკში რომ იყო ილია, თავმჯდომარემ უცბად შეაჩერა და უთხრა:

— თქვენ, ბატონო, ძაღს ატანთ კრებას, აიძულებთ, რომ უსათუოდ თქვენ მოგემხროთ!..

ილიას ეწყინა და უპასუხა არტიდერისტს:

— ბატონო თავმჯდომარე, არ მესმის, რა ძაღლობაზე მიბრძანებთ? თუ ჩემი აზრის დოლიკას გულისხმობთ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ ამ დოლიკის წინააღმდეგ ვერავინ გააწყობს რამეს, თუნდ მთელი ქვეყნის მიხმე არტიდერიაც დაუშინოთ.

იაკობ გოგებაშვილზე

ერთხელ იაკობ გოგებაშვილთან სადილზე იყვნენ მიწვეულნი: ილია, ანტონ ფურცელაძე, იონა მეუნარგია, პეტრე უმიკაშვილი და ნიკო ცხვედაძე.

იაკობი მუდამ რაიმე ავადმყოფობას უჩივოდა. იმ დღეს კი, სტუმრების მოსვლით გახანისებული, ოთახიდან ოთახში გადიოდა, მასპინძელ თავდარიგს ეწეოდა.

ილია ამ დროს, სანამ მაგიდას მოუსხდებოდნენ, იაკობის წიგნებს ათვალერებდა. უეცრად თვალი მოჰკრა ერთ წიგნს, აიღო და შეგობრებს უჩვენა. წიგნის სათაური იყო: „რევმატიზმი და პოდაგრა“.

— ვაი ჩვენი ბრადი, — ხმადაბლა თქვა ილიამ, რომ მასპინძელს არ გაეგონა, — ახლა ამას წაიკითხავს იაკობი და ამ ავადმყოფობას გაიჩენსო.

გლეხი ზაქარია

(ილიას ნაამბობიდან)

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროს, ღუმეთში, ილიას ასეთი საქმე შეემთხვა:

ვიღაც ზაქარიას ხეების მოპარვა ბრადებოდა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრადებულის გვარი ამოიკითხა.

— შე გახლავარ, ბატონო, — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— შენ წაილე ხეები?

— დიას, ბატონო, წავილე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, ილიამ იქვე დასწერა განაჩენი. დამნაშავე საპატიმროში გაიგზავნა. პატიმრობის ვადა ჯერ კიდევ არ იყო გათავებული, რომ ილიასთან მივიდა იმ გლეხის ძმა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ილიამ.

— ესა და ეს ზაქარია გახლავარ, ბატონო!

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე, მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცადაო. — უპასუხა გლეხკაცმა.



— ერთი ეგ კრაქი მომინათე დედი, თორემ ელექტრონის შუქი ისე მკრთალია, რომ ენერჯიის ხარჯვის ქვითარი ვერ გაშომიწერია.

ვორონცოვმა პლ. იოსელიანი ათონის მთაზე ვაგზავენა. პლატონმა სხვათა შორის, საბერძნეთის მეფე ოტტონიც იწახულა. მიღების დროს მეფემ შემდეგი თავაზიანი სიტყვა წუთხარაუროთ ველ სწავლულს:

—დიდად მიხარია, რომ გხედავ შენ, მშვენიერის საქართველოს წარმომადგენელსო.

მშვენიერებაზე შორს მყოფმა (ცნობილია, პლატონი ცუდი თვალადი იყო) ჩვენმა სწავლულმა ასეთი პასუხით მოიხიდა შეუფერებელი ქათინაური:

—თქვენო აღმატებულება, გთხოვთ არ იფიქროთ, რომ სხვებიც ისეთნი არიან საქართველოში, როგორც მე. მოგესხენებათ ოჯახს თითო მახინჯი არ მოაკლდებაო.

—:—

პლატონ იოსელიანი შეეკითხა ერთხელ გიორგი მუხრანბატონს:

—გიორგი, თვეში რამდენჯერ იცვლი პერანგს?

—როგორ თუ თვეში?ყოველ დღე ვიცვლიო.—მიუგო მუხრანბატონმა.

—ოჰ, დიდად ქუჭყინი ყოფილხარო, თქვენმა მზემო,—ლიმლით მიუგო პლატონმა.

—:—

—რა არის რომ სულ შენს თავს ელაპარაკებიო?—ჰკითხეს ერთ კაცს.

—რა ვქნა, მიყვარს ქვეიანსა და გონიერ კაცთან საუბარიო,—უპასუხა.

(„ივერია“)

სამსახურის მსვპრკლი

ინგლისში არასრულწლოვან დამნაშავეთათვის შემოიღეს პირობითი სასჯელი. ამ შემთხვევაში მსჯავრდადებული ცხოვრობს თავის სახლში, დადის სკოლაში. მხოლოდ იმყოფება ზედამხედველის ყურადღების ქვეშ.

ინგლისური პრესის ცნობიდან

—სერი თუ გნებავთ,ეს გახლავთ!—დაიწყო მოხუცმა ნათანმა,—ჩამაბარეს ქაბუკი და მეუბნებიან: აბა, ნათან, შენ იცი და ამან. ექვსი თვის პირობითი სასჯელი აქვს და ამ ხანში კაცად უნდა აქციო!

ყმაწვილი მექარხნის შვილი გახლავთ. კანი კი ძვლებზე ისე ახლოს აქვს მიკრული, აშკარად ეტყობა, ქონის მთელ მარაგს ღლაბუცობაში ხარჯავს.

დაიწყო ჩემი ახალი კარიერა...

პირველ დღეს სკოლაში მივაცილებდი ჯონს. (ასე ეძახიან ჩემზე მომავრებულ დამნაშავეს). უცბათ ავტობუსმა ჩაგვიქროლა. სკოლა ახლოს გახლავთ მექარხნის სახლიდან და ავტობუსისკენ მიხედვა აზრადაც არ მომსვლია. მაგრამ ჯონისათვის თვალყურის დევნება ხომ ჩემს მოვალეობას შეადგენდა! ადევნე თვალყური, თუ კარგი ბიჭი ხარ! ქაბუკი, თვალის დახამხამებაში ავტობუსის კიბეზე მოექცა და ავტობუსი კი ერთ წამში გაჰქრა თვალთა ხედვიდან.

ტაქსი გავაჩერე და გაქეუულს გამოვენთე. სკოლასთან გავჩერდით. ჯონი არ ჩამობრძანდა.

—ჯონ,—ვედახი ყმაწვილს,—თქვენი სკოლა აქ მდებარეობს, რატომ არ გინდათ ჩამობრძანდით?

—ეს გუშინ იყო აქ, სერ,—მიძახის ყმაწვილი,—დღეს სადღაც გადასულა!—და სკამზე ისე კობტად ზის, ავტობუსის შოფერს შემურდება.

რა ძალა მქონდა? ტაქსი გავისტუმრე და

ავტობუსში შევედი.

—მობრძანდით, სერ,—ზრდილობიანად მითხრა ჯონმა და მის პირდაპირ მჯდომ ახალგაზრდას მიმართა,—არ შეგიძლიანთ მაგ ადგილიდან წამოხტეთ?

—თქვენ თავაზიანი არამზადა ბრძანებულხართ!—მიუგო ახალგაზრდამ.

ამ სიტყვის თქმა და ლოყების ტკაცატკუტის ატეხვა ერთი იყო. ჯონმა ოთხიოდე პოლიციური სიმაგრის სილა უთავაზა მოწინააღმდეგეთ.

ავტობუსი საგვიეთს დაემსგავსა. გავაჩერეს. პოლიციელმა ჯონის დაპატიმრება მოიწადინა.

—უკვე მისჯილი აქვს, სერ,—გუთხარი და დოკუმენტი ვაჩვენე,—ჩემი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება!

პოლიციელმა ბოდიში მოიხადა და გავვისტუმრა.

—სერ ნათან!—მომმართა ჯონმა,—სახლიდან უსაუზმოდ წამოვედი, ცოტა თუ არ შევნაყრდი, წავიქცევი და ხომ იცით, რომ პასუხს თქვენ აგებთ...—და ამ სიტყვების შემდეგ ქაბუკმა სასაუზმეში შეუხვია.

—მომეცით ბუტერბროდი,—განაცხადა ჯონმა, წიგნების ჩანთა იატაკზე დააწარცხა და მაგიდას მიუჯდა.

ბუტერბროდი მიართვეს. ჯონმა ნახევარი მიირთვა და იკივლა:

—საზიზღრობაა, უმია ეს ბუტერბროდი!

—მოხარული ბუტერბროდი სად გინახავთ, სერ?!—შეეკამათნენ ჯონს.

—როგორ თუ არ მინახავს? მე სახლში მოხარულ ბუტერბროდებს მაქმევენ.

—მაშ სახლში მიგერთმითა, ჩვენთან რატომლა მობრძანდებოდით!—ბრაზ მორეული კილოთი მიმართა სასაუზმის პატრონმა და ეს მიმართვა საკმარისი იყო, რომ გადაბრუნებული მაგიდიდან დაგორებულ თეთშებს მისი ფეხების წინ გაენავარდათ.

ეს ალიაქოთიც რამდენიმე სტერლინგად დამიჯდა. ჯონი კი პატიმრობას მხოლოდ იმ გარემოებამ გადაარჩინა, რომ ის უკვე მსჯავრდადებული გახლდათ.

—ჯონ, რატომ არ მოჰქვეიანდები?—ყოველივე ამის შემდეგ შევეკითხე ქაბუკს.

ჯონმა ღრენით მკითხა:

—სერ, გინახავს ამერიკული სურათი „დანის წვერზე“?

—არა, ჯონ...

—იცი რა მოხერხებულად ჰკლავს ახალგაზრდა კაცი მეთვალყურე პოლიციელს?—და ჯონმა თავიდან ფეხებამდე ამხელ-ღამხელდა...

—მერე, სერ, მერე?—ეკითხებიან ნათანს მეგობრები?

—რაღა მერე, ჯონის გამოსწორების ვადას ჯერ ხუთი თვე და ოცდაცხრა დღე კიდევ აკლია, ახლა ერთი პოლიციელი ზედამხედველი კიდევ მინდა ვიჭიროაო, რომ მე მადვენოს თვალყური, თორემ გავიგონიათ სადმე, სამსახურს რომ კაცი ემსხვერპლოს?



— კამე, ბიჭოკო! ამაში ზეური ატომინება, ენერჯიას მოგიმატებს!

სარედაქციო კოლეგია: ი. მარიუაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, მ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ღონის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ბელოვ. დასახ. 1948 წ. 28/XII. ტექსტი აწვრიბილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შტა. № 1734. ღონის ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 128, ტირ. 7600 შტ 16999.